დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს რუსთველი

შეფასების თარიღ(ებ)ი : 15-16 დეკემბერი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

2 თებერვალი, 2023 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს რუსთველი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216392179

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	რუსთავი
იურიდიული მისამართი	ქ.რუსთავი,სააკაძის ქ.N3
ფაქტობრივი მისამართი	ქ.რუსთავი, სააკაძის ქ.N3
საფოსტო ინდექსი	3700
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.rustaveli.edupage.org,
დაწესებულების ელ-ფოსტა	rustvelischool@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	-
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ზაირა კიკნაველიძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599746061

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ელ-ფოსტა	kiknavelidze.zaira@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	MES 4 22 0001536965
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15-16 დეკემბერი, 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	თამარ მიდელაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ირინა დვალი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. დვალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწრების გასაუმჯობესებლად			
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☐	☒
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☐	☒
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☐	☒
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☐	☒
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☐	☒
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	-
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2.4	სკოლის ადაპტირებული სველი წერტილი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2020 წლის დეკემბრის № 732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს.
	2.6. ა)	2019 წლის 19 ნოემბერს შპს რუსთაველის მიერ იჯარით აღებულ ფართში (მესამე და მეოთხე სართულებზე) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა ჩაატარა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. უწყების მიერ გაცემულ მოწერილობაში (№2036, 21 ნოემბერი, 2019 წელი) ერთ-ერთ სავალდებულოდ შესასრულებელ ღონისძიებად განსაზღვრულია: „სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პუნქტი განთავსდეს სათავსოში, სადაც მიმდინარეობს 24-საათიანი მორიგეობა, გამოკრული იქნება ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგეს მოქმედების წესი. აღნიშნული სათავსი აღიჭურვოს სატელეფონო ან/და ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებს სამი გამართული ელექტრო ფარნით.“ აღნიშნული ღონისძიება სკოლას გატარებული არ აქვს.
	2.6.ბ)	სკოლის ორივე სართულზე გამოკრული ევაკუაციის გეგმები არ იყო დამზადებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
	2.6.გ)	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით სკოლა ვერ აკმაყოფილებს 2022 წლის 21 მარტის 41/ნ/01-23/ნ ბრძანებას, რადგან არ ჰყავს ექიმის კვალიფიკაციის სამედიცინო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		პერსონალი.
	2.6.ე)	სკოლაში არსებული ვიდეოკამერებით სრულად არ კონტროლდება ყველა ის ადგილი, სადაც შესაძლებელია მოსწავლე იმყოფებოდეს. კერძოდ, დერეფნები, კიბეები.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	.....

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***რეკომენდაცია***
ქვესტანდარტი	*1.1.*	სკოლამ, საათობრივი ბადის მე-3 მოდელის არჩევის შემთხვევაში, სასწავლო წლის დასაწყისში (სწავლის დაწყებამდე) საათობრივ ბადე შეათანხმოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
	1.4	დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებული რეგულაცია სემესტრულ გამოცდასთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული სასწავლო გეგმის 36 -ე მუხლთან, კერძოდ, ,,სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერ წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს: <u>პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.... პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში“.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.7.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიტანოს ცვლილება სკოლის წესდებაში, შესაბამისობაში მოიყვანოს და პედსაბჭოს ფუნქციად განსაზღვროს სამოქმედო გეგმების განხილვა და დამტკიცება.
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	3.2.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ცეკვის მასწავლებელს (მოწვეულის სტატუსი-10 სთ.) გაუფორმოს უსტატუსო მასწავლებლის ხელშეკრულება, ხოლო მათემატიკის მასწავლებელს, (მოწვეულის სტატუსი-17 სთ.) 9 საათამდე შეუმციროს საათები. 7 უსტატუსო მასწავლებლისა და მათემატიკის მასწავლებლის პოზიციებზე ხელახლა გამოაცხადოს კონკურსები. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლამ განაახლა მასწავლებლების ვაკანსიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	-

დაწესებულების მისია	აღზარდოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, ანალიტიკურად მოაზროვნე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, წიგნადი და ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარის მქონე, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე. ისეთი სასკოლო სისტემის შექმნა, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს გადაწყვეტილების მიღების, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარს და ჩამოაყალიბებს კანონმორჩილ, ტოლერანტ მოქალაქედ.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის ფარგლებში რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს რუსთველი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას, რომელშიც სასწავლო პროცესი ხორციელდება სამივე საფეხურზე -პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმების" საფუძველზე, შემუშავებული ჰქონდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილებია: 1. სკოლის მისია; 2. სკოლაში სამუშაო პირობები და დღის რეჟიმი; 3. სასწავლო კალენდარი; 4. დღის რეჟიმი; 5. სკოლის საათობრივი ბადე; 6. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; 7. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა; 8. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება; 9. ინკლუზიური განათლების კონცეფცია; 10. სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები; 11. კათედრა; 12. არაფორმალური განათლება; 13. შიდასასკოლო მონიტორინგის პრინციპები. სკოლა საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით. სასწავლო პროცესი მოიცავს 2 სემესტრს, თითოეული სასწავლო კვირა ხუთდღიანია. სასკოლო კალენდრით გათვალისწინებულია კანონმდებლობის შესაბამისი უქმე დღეები. ასევე, საშობაო, სააღდგომო და საგაზაფხულო არდადეგები. სასკოლო სასწავლო დღე იწყება 9:00 საათზე და სრულდება 14:50 საათზე. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთია, II – XII კლასში - 45 წუთი. სასკოლო საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა სავალდებულო დატვირთვას საგნების, სემესტრებისა და კლასების მიხედვით. სკოლა სარგებლობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის III მოდელით. საათობრივი ბადის მიხედვით ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებულად ისწავლება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა) ყველა კლასში გაზრდილია საათობრივი დატვირთვა; ✓ მეორე უცხოური ენა(რუსული ენა) ისწავლება მე-3 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით; ✓ მესამე უცხოური ენა(გერმანული ენა) ისწავლება მე-5 კლასიდან მე-10 კლასის ჩათვლით; ✓ ბუნებისმეტყველება ისწავლება მე-6 კლასის მხოლოდ პირველ სემესტრში 3 საათიანი დატვირთვით; ✓ ცეკვა ისწავლება პირველ - მე-4 კლასებში 1 საათიანი დატვირთვით; ✓ საღვთო რჯული ისწავლება მე-3 - მე-5 კლასებში 1 საათიანი დატვირთვით; ✓ პროექტებით სწავლებას ხელოვნებაში მე -10 კლასის პირველ სემესტრში დათმობილი აქვს 1 საათი; ✓ პროექტებით სწავლებას მუსიკაში მე -10 კლასის მეორე სემესტრში დათმობილი აქვს 1 საათი; ✓ გაზრდილია ისტორიის საათობრივი დატვირთვა მე-11 - მე-12 კლასებში; ✓ გაზრდილია საათობრივი დატვირთვა ქართულ ენაში მე-12 კლასში; ✓ გაზრდილია საათობრივი დატვირთვა მათემატიკაში მე-12 კლასში;. <u>დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა საათობრივი ბადის საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების კორესპონდენცია. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა რეკომენდაციით სკოლამ გააგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საათობრივი ბადის მესამე მოდელის შეთანხმებელი წერილი (N1615837-16.12.2022).</u> X, XI და XII კლასებში სასკოლო სასწავლო გეგმით შეთავაზებულია შემდეგი არჩევითი საგნები: ხელოვნების ისტორია, სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა, შესავალი თანამედროვე ფიზიკაში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში შერჩეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოები, რომელთა ჩამონათვალი, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა (სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა), ცნობილია მშობლებისა და სასკოლო საზოგადოებისათვის. დაწყებითი კლასების მოსწავლეები სარგებლობენ გახანგრძლივებული დღის რეჟიმით და შემდეგი წრეებით: ჭადრაკი, ხალხური საკრავებისა და ვოკალის გუნდი, ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი წრე. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების კონცეფცია. შპს რუსთველის დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების განხორციელებას. **რეკომენდაცია:** სკოლამ საათობრივი ბადის მე-3 მოდელის არჩევის შემთხვევაში, საათობრივი ბადე სასწავლო წლის დასაწყისში (სწავლის დაწყებამდე), შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საათობრივი ბადის შესახებ; • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი; • კათედრების 2022 წლის N1 სხდომის ოქმები; • დამრიგებლების პორტფოლიოები; • ინტერვიუ დირექციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეებთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია 7 საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; • მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; • ინგლისური ენის კათედრა; • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; • რუსული ენისა და გერმანული ენის კათედრა; • სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა; • დაწყებითი კლასების კათედრა. საგნობრივი კათედრები თავის საქმიანობას წარმართავენ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე. გამოცდილების გაზიარების მიზნით საგნობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია სკოლის ყველა მასწავლებელი. საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგთა პორტფოლიოებში განთავსებულია თემატური გეგმები, შემაჯამებელი სამუშაოების ამსახველი მასალები, შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროექტები. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პლაკატები. სემესტრში ერთხელ ტარდება დიაგნოსტიკური წერები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამები კლასების მიხედვით და სადამრიგებლო საათის ჩატარების რეკომენდაციები. დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით: • საუბრები მოსწავლეებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დისკუსიები; • ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები; • ექსკურსიები. ყველა დამრიგებელს აქვს პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სადამრიგებლო საათის ამსახველი მასალებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლის პოლიტიკა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორტფოლიო; • კლასის დამრიგებლის პორტფოლიოები; • ინტერვიუ დირექციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწავლების პროცესში მოსწავლეთა მხარდაჭერაა. ამ მიზნით სკოლაში გამოყოფილია სამკითხველო, შემუშავებულია მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობის პოლიტიკა. საგნობრივ ჯგუფებში ტარდება დამატებით მეცადინეობები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების კონცეფცია - ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გეგმის შედგენის ვადები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, ისგ-ს შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების, დასწრებისა და გაცდენების, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების პოლიტიკა, შემუშავებულია სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით დგინდება, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა შეფასების სისტემა მიზნად ისახავს სწავლის ხარისხის მართვას. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით. ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. კლასიდან კლასში გადასაყვანი და საფეხურის დამლევის მინიმალური ბარიერია 5 ქულა. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეს ეძლევა როგორც მიმდინარე დავალებებში, ისე შემაჯამებელ სამუშაოებში (ზეპირი ან/და წერითი ფორმით). I-IV და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში წლის ბოლოს კლასის დამრიგებელი საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ჯაკელი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაწერს მოკლე, შემაჯამებელი წერილობით შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რუბრიკები და კრიტერიუმები სამი კომპონენტის (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებები) მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. როგორც სკოლის მენეჯმენტმა აღნიშნა, 2022-2023 სასწავლო წლისათვის პრიორიტეტული მიმართულება იქნება კომპლექსური დავალებებისა და განმავითარებელი შეფასებების დანერგვა სასწავლო პროცესში. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული საგნისთვის, განსაზღვრულია სასწავლო წლის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა, შემუშავებულია შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები, ჩატარების წესი და პირობები, რომლის მიხედვითაც, მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე განსაზღვრავს გაცდენების აღრიცხვის წესს, ექსტერნატის გამოცდების დანიშვნის წინაპირობას, გაცდენების გამო შინ სწავლების წესებს. სასკოლო-სასწავლო გეგმაში მითითებულია გამოცდების ტიპები, მოცემულია ინფორმაცია სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების შესახებ. დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში სემესტრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოცდასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: ,,სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს.... სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში". სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული საკითხი პირველი სემესტრის დასრულებამდე შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული სასწავლო გეგმის 36 -ე მუხლთან. კერძოდ, ,,სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს: პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.... პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში". მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დასტურდება მოსწავლეებთან/მშობლებთან გასაუბრებითაც. შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორტფოლიოები; • შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის ფორმები; • ელექტრონული ჟურნალი; • გასაუბრება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან; • გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. შინაგანაწესის მე-10 თავში განსაზღვრულია ადმინისტრაციის მშობელთან ურთიერთობა, მშობლის უფლებები და მოვალეობები, სკოლის საქმიანობის შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და საშუალებები. მშობელი ინფორმაციას სასკოლო ცხოვრების შესახებ იღებს შეტყობინების სახით კლასის დამრიგებლისგან ან/და ადმინისტრაციისაგან. ინფორმაციის მიწოდება ხდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით: სატელეფონო შეტყობინებით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით, ელექტრონული ჟურნალით, სკოლის ვებ გვერდით. კლასის დამრიგებელთა ინიციატივით ტარდება კლასის მშობელთა კრებები, ხოლო სემესტრულად, მშობელთა გაერთიანებული კრებები სკოლის დირექტორთან, სადაც იხილავენ სემესტრული ღონისძიებების შედეგებს და გეგმავენ სამომავლო საქმიანობებსა და აქტივობებს. სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეებთან და მშობლებთან, როგორც პარტნიორებთან, აქტიურად თანამშრომლობს მისიისა და მიზნების განხორციელების გზების გასაუმჯობესებლად (მაგალითად, მშობლები მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში). ამის გარდა, ყოველი სემესტრის ბოლოს იმართება ინდივიდუალური შეხვედრები საგნის მასწავლებელსა და მშობელს შორის. შეხვედრაზე მშობელი და მასწავლებელი განიხილავენ სემესტრის განმავლობაში მოსწავლის პროგრესს და გამოყოფენ სამომავლოდ სამუშაო საკითხებს. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც მშობელს საშუალებას აძლევს, მყისიერად, სკოლაში მისვლის გარეშეც გაეცნოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. სასკოლო გარემოს თუ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ჯვალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა კითხვარების გამოყენებით ცდილობს მშობელთა მოსაზრებებიც გაიგოს და მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები. მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიუირებით დასტურდება, რომ მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის შინაგანაწესი; • მშობლის კითხვარი; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან; • ელექტრონული ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. ამ მიზნით შექმნილია შეფასებისა და ხარისხის განვითარების ჯგუფი და შექმნილია დოკუმენტი რომელიც ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: • სასწავლო პროცესის მონიტორინგი; • ესგ-ში შესული ცვლილებების გათვალისწინება სასკოლო-სასწავლო გეგმაში; • მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, გამოკითხვის შემდგომი ანალიზი; • გაკვეთილების შეფასება-ანალიზი; • მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს მონიტორინგის დებულება, რომელიც მიზნად ისახავს შემუშავებული ინდიკატორების გამოყენებით მონაცემთა შეგროვებას, გაანალიზებას და მიღებული შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი ჩარევების განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგნობრივი კათედრების საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წლიური სამუშაო გეგმის, სემესტრული და წლიური ანგარიშების, სხდომის ოქმებისა და ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალების მიხედვით. კლასის დამრიგებლის საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება დამრიგებლის პორტფოლიოს, სადამრიგებლო პროგრამის ამსახველი მასალების, დამრიგებლის სემესტრული და წლიური ანგარიშების მიხედვით. სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგი მოიცავს სააღმზრდელო პროგრამისა და მოსწავლეთა დისციპლინის შესახებ ანალიზებს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის მიღწევის მონიტორინგი ხორციელდება ადმინისტრაციული/ სადიაგნოსტიკო წერების შედეგების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზების მიხედვით, გაკვეთილზე დასწრებების მიხედვით. სკოლის სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და ხარისხის კვლევას აწარმოებს ხარისხის მართვის მენეჯერი. შეფასების შედეგების განხილვა ხდება კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; • სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები; • ინტერვიუირება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, კათედრის ხელმძღვანელებთან, დირექტორის მოადგილესთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს რუსთველი მდებარეობს ქ. რუსთავში, სააკაძის ქუჩა №3-ში მდებარე 4-სართულიანი შენობაში. შენობის მესაკუთრეა შპს ინსტიტუტი მეტალურგპროექტი. შპს რუსთველს მესაკუთრისგან იჯარის ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი 11.11.2022) 6 წლის ვადით აღებული აქვს შენობის პირველი, მესამე და მეოთხე სართულები (1733,46კვ/მ.). საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს მესამე და მეოთხე სართულებზე (1668,46 კვ.მ.)
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, სააკაძის ქუჩა №3
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N02.05.06.359.01.500; N02.05.06.359.01.501; N02.05.06.359.01.502
კვ.მ.	1733,46 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შენობის აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ფართში (მესამე და მეოთხე სართულებზე) 28 საკლასო ოთახია (14-14 თითოეულ სართულზე), ასევე მუსიკის ოთახი, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახი, ოთახები გამოყოფილია ასევე დირექციის, მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისათვის. საკლასო ოთახებში განთავსებულია ასაკის შესაბამისი 307 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კედელზე კიდია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები. ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში თავისუფლად შესაძლებელია განთავსდეს 350 მოსწავლის მაგიდა და სკამი. სკოლამ წარმოადგინა 759 მოსწავლის მერხის შესყიდვის დოკუმენტაცია. **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახები და მათში განლაგებული სასკოლო ინვენტარი მორგებულია 350 მოსწავლის საჭიროებებს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულებები საქონლის/სასკოლო ინვენტარის დამზადებისა და შესყიდვის შესახებ; • სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მეოთხე სართულზე გამოყოფილია სივრცე სპორტული აქტივობებისათვის (67.9 კვ.მ). სკოლას შეძენილი აქვს მუსიკალური ინსტრუმენტი, სპორტული ბურთები, ჰულაჰუპები, კეგლის სათამაშო ინვენტარი, ცოცვისთვის ბაგირი, იატაკის ლეიბები, ტენისის ჩოგნები/ბურთები და სხვა. სივრცეს აქვს სამი დიდი და მაღალი ფანჯარა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაიწყო ზრუნვა სპორტული სივრცის უსაფრთხოებაზე და შეიძინა ფანჯრების დამცავი ბადეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია; • შენობის აზომვითი ნახაზი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სივრცის მეოთხე სართულზე მდებარეობს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია-კაბინეტი, სადაც დამონტაჟებულია ცდების ჩასატარებელი მინით შემოსაზღვრული დახურული სივრცე, დამონტაჟებულია ონკანი, გამწოვი, კარადებში განთავსებულია რეაქტივები, კაბინეტში მოსწავლეების მერხები და სკამებია. ლაბორატორიის აღჭურვილობა აკმაყოფილებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანების მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება ლაბორატორიის ნასყიდობის შესახებ ინსტა ჯორჯიასთან 2012 წლის; საგადასახადო დავალება • ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება წყალი, ელექტროენერგია და გაზი, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებით. სკოლა ენერგო პრო ჯორჯიას, სოკარ გაზის, რუსთავის წყალისა და სილქნეტის აბონენტია. ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში, სკოლას შეძენილი აქვს გენერატორი. შენობაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა. ორივე სართულზე განთავსებულია 2-2 სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის. ყველა ოთახს აქვს ფანჯრები. **ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება, რომ** სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოა შექმნილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრები; • ხელშეკრულებები ენერგო პრო ჯორჯიასთან, სოკარ გაზთან, რუსთავის წყალთან .
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სივრცისგან: სამკითხველო ოთახი და წიგნების საცავი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნისა და კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე ქართული და არაქართულენოვანი ლიტერატურა. შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოები. გეგმაში მითითებული სახელმძღვანელოები ყველა იყო ბიბლიოთეკაში. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შეტანილია კატალოგში. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა მკითხველთა ბარათები. შემუშავებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. ბიბლიოთეკის კარზე გამოკრულია მუშაობის საათები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკის კატალოგი; • სასაქონლო ზედნადებები; • მიღება-ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შექმნილია ადაპტირებული გარემო. შენობაში შესასვლელიდანვე, პირველი სართულიდან მეოთხე სართულზე ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია რკინის პანდუსები. რაც შეეხება, ადაპტირებულ სველ წერტილს, ადგილზე ვიზიტის დროს, ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ იგი **ვერ აკმაყოფილებდა** საქართველოს მთავრობის 2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წლის 4 დეკემბრის № 732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს. თუმცა, ვიზიტის პირველივე დღეს სკოლამ დაიწყო ზრუნვა აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე და ვიზიტის მეორე დღის ბოლოსთვის ძირითადი სამუშაოები დასრულებული იყო, კერძოდ, გაფართოვდა სველ წერტილში შესასვლელი კარი, მოიხსნა ერთი კედელი და გადაიწია ერთი მეტრით, რამაც გამოიწვია სივრცის გაფართოება და, შესაბამისად, სსსმ პირს მიეცემა ეტლით თავისუფლად მოძრაობის საშუალება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა ცვლილების ამსახველი ფოტომასალა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია; • ფოტომასალა.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული სულ 21 პერსონალური კომპიუტერი/ლეპტოპი, მათ შორის, 15 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერის ოთახში, 6 კი-სხვა ოთახებსა და ბიბლიოთეკაში. სკოლას შეძენილი აქვს პრინტერები. სკოლის ვებგვერდია: www.rustaveli.edupage.org, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განთავსებულია ელექტრონული ჟურნალი; **სკოლა სრულფასოვნად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც დადასტურდა სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი www.rustaveli.edupage.org, • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები-საგადასახადო დავალებები, ჩუქების ხელშეკრულებები; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სასკოლო სივრცის მესამე და მეოთხე სართულებზე განთავსებულია დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები. თითოეულ სართულზე 4-4 ცალი. სკოლას შემუშავებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელშიც გაწერილია საგანგებო სიტუაციების დროს ჩასატარებელი ღონისძიებები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტი გაგზავნილია შესათანხმებლად, თუმცა, ჯერ არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შენობის მეოთხე სართულზე დერეფნის ბოლოში გამოყოფილია 2 ოთახი გათბობის ქვაბებისთვის. თითო ოთახში დამონტაჟებულია 2-2 გათბობის ქვაბი. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 19 ნოემბერს შპს რუსთაველის მიერ იჯარით აღებულ ფართში (მესამე და მეოთხე სართულებზე) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა ჩაატარა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. უწყების მიერ გაცემულ მოწერილობაში (№2036, 21 ნოემბერი, 2019 წელი) ერთ-ერთ სავალდებულოდ შესასრულებელ ღონისძიებად განსაზღვრულია შემდეგი მოთხოვნა: ,,სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პუნქტი განთავსდეს სათავსოში, სადაც მიმდინარეობს 24-საათიანი მორიგეობა, გამოიკრას ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგის მოქმედების წესი. აღნიშნული სათავსო აღიჭურვოს სატელეფონო ან/და ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებს სამი გამართული ელექტრო ფარნით.“ **აღნიშნული ღონისძიება სკოლას გატარებული არ ჰქონდა.** შპს რუსთაველს მიეცა რეკომენდაცია, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გაცემული მითითების დროულად შესრულების შესახებ, რათა დაცული იყოს ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის და ,,საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგურილებელი ტექნიკური რეგლამენტის აღიარებისა და სამოქმედო დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის პირველივე დღეს სკოლა დაუკავშირდა შესაბამის სამსახურს და დაიწყო ზრუნვა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაზე. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სახანძრო დაცვითი სიგნალიზაციის ჩუქების ხელშეკრულება, ფიზიკურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტო-მასალა, რომლებითაც დასტურდება, რომ სკოლამ სასწავლო ფართში დაამონტაჟა 8 დეტექტორი, საკონტროლო პანელი მართვის პულტით, ხოლო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პუნქტის 24- საათიან მორიგეობას შეასრულებს შენობის დარაჯი. ვფიქრობთ, სკოლამ განმეორებით უნდა მიიღოს ახალი დასკვნა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის დეპარტამენტისგან სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ინვოისები ცეცხლმაქრების გადამუხტვაზე; • მიღება-ჩაბარების აქტები ცეცხლმაქრების შეძენაზე; • ჩუქების ხელშეკრულება; • ფოტომასალა;
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, თუმცა წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით, ის **არ იყო დამზადებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საევაკუაციო გეგმების დამზადების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო მზადება და საევაკუაციო გეგმის მომზადების თაობაზე, შპს ,,პროექტმშენთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით შემსრულებელი ვალდებულია შემკვეთს საევაკუაციო გეგმა მიაწოდოს არაუგვიანეს 20 დეკემბრისა. არგუმენტირებულ პოზიციაში შპს რუსთველმა წარმოადგინა უკვე სკოლისთვის მიწოდებული ორივე სართულის საევაკუაციო გეგმების ფოტომასალა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. • ხელშეკრულება შპს ,,პროექტმშენთან“. 2022 წლის 10.12.2022
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სამედიცინო დახმარებისთვის მესამე სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა საკეტით, სამედიცინო შირმა, საკაცე, მაგიდა, დამონტაჟებულია ონკანი, დგას სასწორი და გამოკრულია პირველადი დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. ექთანთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ მედიკამენტებს, წამლების მიღებასა და ჩამოწერას. სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით სკოლა **ვერ აკმაყოფილებს** 2022 წლის 21 მარტის 41/ნ/01-23/ნ ბრძანებას, რადგან რეგულაციის მიხედვით, სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმის კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი. ვიზიტის დროს, ექსპერტთა რეკომენდაციით სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე (ვაკანსია №58458) <u>არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლა წერს, რომ არაშესაბამისი ანაზღაურების გამო ვერცერთ კანდიდატთან ვერ მოხდა შეთანხმება. ამის გამო საიტზე რეგულარულად აქვთ გამოქვეყნებული ვაკანსია ექიმის თანამდებობაზე. ექსპერტთა დასკვნის შედგენის დროს სკოლას კვლავ ჰქონდა საიტზე განთავსებული ექიმის ვაკანსია (№**59976)**</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; • შემთხვევების, მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი; • ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ვიზუალური დათვალიერება; • ექიმის ვაკანსია №58458
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში შემუშავებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც გაგზავნილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად (წერილი №02-176; 10.11.2022). სკოლას ჰყავს უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები • გასაუბრების შედეგები; • უსაფრთხო სკოლის მენეჯერთან გაფორმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეკრულება; • წერილი (№02-176; 10.11.2022).
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შეძენილი აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც აკონტროლებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია 2 ვიდეოკამერა, მესამე და მეოთხე სართულებზე - 2 კამერა, მესამე სართულზე ასასვლელ კიბეებზე-1 კამერა. სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ვიდეოკამერებში ასახული ინფორმაცია თავს იყრის პერსონალურ კომპიუტერში, რომელიც განთავსებულია იზოლირებულ ოთახში და ხელშეკრულების მიხედვით, სკოლის შიდა და გარე კამერების მუშაობას თვალყურს ადევნებს უსაფრთხო სკოლის მენეჯერი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია დერეფნებსა და კიბეებზე 4 ვიდეოკამერის დამატების შესახებ, რადგან არსებული ვიდეოკამარებით სრულად არ კონტროლდება ყველა ის ადგილი, სადაც შესაძლებელია მოსწავლე იმყოფებოდეს (დერეფნები, კიბეები).** ვიზიტის პერიოდში სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს ჯეობიტთან 5 ვიდეოკამერის შესყიდვისა და დამონტაჟების შესახებ (16.12.2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>არგუმენტირებულ პოზიციაში შპს რუსთველმა აღნიშნა, რომ შეიძინა 5 ვიდეოკამერა, რომელთაგან ორი დაემატა მესამე სართულზე, ორი მეოთხე სართულზე და ერთი კიდევ პირველიდან მეორე სართულზე ამოსასვლელ კიბეებზე</u> (აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ გამოგზავნილი ფოტომასალაც).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ვიდეოსამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; • ხელშეკრულება შპს ჯეობიტთან ვიდეოკამერების შესყიდვისა და დამონტაჟების შესახებ (16.12.2022); • ფოტომასალა.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტაცია. მათ შორის შპს რუსთველის წესდება, სკოლის შინაგანაწესი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, პირველადი სამედიცინო დახმარების დებულება, კათედრების დებულება, საქმისწარმოების წესი, თანამშრომელთა შერჩევის წესი, განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა. შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები. დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა გარკვეული უზუსტობები, მაგალითად, სტრატეგიული გეგმები დამტკიცებულია სკოლის პედსაბჭოს მიერ, თუმცა, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესდების შესაბამის მუხლში (რომელიც ეხება პედსაბჭოს ფუნქციებს), აღნიშნული არ არის. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიტანოს ცვლილება სკოლის წესდებაში, შესაბამისობაში მოიყვანოს და პედსაბჭოს ფუნქციად განსაზღვროს სამოქმედო გეგმების განხილვა და დამტკიცება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლაში შემუშავებული საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა 2022-2028 წლების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და აკონკრეტებს მის აქტივობებსა და შესრულების ვადებს. აღნიშნული დოკუმენტების შინაარსით განსაზღვრულია სწავლა-სწავლების ხარისხის, მატერიალური და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2028 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა; • 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა: საქმისმწარმოებელმა წარმოადგინა ჟურნალები, რომლებიც დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით. შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა ყველა სარეგისტრაციო ჟურნალი შესაბამისი დოკუმენტაციით და დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება დადგენილი წესით მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული და გასული კორესპონდენციების, ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები; • საქმისწარმოების წესი;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	ა) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეასრულოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გაცემულ მოწერილობაში განსაზღვრული სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები. ბ) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ადაპტირებული სველი წერტილის ინფრასტრუქტურა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების-,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“-27-ე მუხლის მოთხოვნებთან. გ) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საევაკუაციო გეგმების განახლების თაობაზე. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო მზადება და საევაკუაციო გეგმის მომზადების თაობაზე, შპს ,,პროექტმშენთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით შემსრულებელი ვალდებულია შემკვეთს საევაკუაციო გეგმა მიაწოდოს არაუგვიანეს 20 დეკემბრისა. დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ჯაკელი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის 41/ნ/01-23/ნ ბრძანების თანახმად, სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმის კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამოეცხადებინა ვაკანსია ექიმის პოზიციაზე, ვიზიტის დროს სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე. ე) სკოლას მიეცა რეკომენდაცია დერეფნებსა და კიბეებზე 4 ვიდეოკამერის დამატების შესახებ, რადგან არსებული ვიდეოკამარებით არ კონტროლდება ყველა ის ადგილი, სადაც შესაძლებელია მოსწავლე იმყოფებოდეს: დერეფნები, კიბეები. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს ჯეობიტთან ვიდეოკამერების შესყიდვისა და დამონტაჟების შესახებ (16.12.2022)
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი საშტატო განრიგისა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით სკოლას ჰყავს დირექცია, და ადმინისტრაციული და ტექნიკური ფუნქციის მქონე პერსონალი (დირექტორი, 3 დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯერი, აიტი სპეციალისტი, ლაბორანტი, საქმეთამმართველი, სამეურნეო ნაწილის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამგე, ექთანი, ბიბლიოთეკარი, 4 დამლაგებელი, მუშა, ადმინისტრატორი, გახანგრძლივებული ჯგუფის კურატორი, დიასახლისი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი და 49 საგნის მასწავლებელი. აღნიშნული ადამიანური რესურსით შესაძლებელია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საშტატო განრიგი; • eSchool ბაზა; • გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	49
მოწვეული/მაძიებელი	10 (მოწვეული), 2 (მაძიებელი).
პრაქტიკოსი მასწავლებლი	7 უსტატუსო
უფროსი მასწავლებლი	30
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლების პირადი საქმეებისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით მასწავლებელთა ძირითად ნაწილს უდასტურდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციები. 10 მოწვეული სტატუსის მქონე მასწავლებლიდან მათემატიკის მასწავლებელს აქვს 17 საათი, ცეკვის მასწავლებელს კი -10 საათი, რაც რეგულაციის დარღვევაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ჯაკელი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ცეკვის მასწავლებელს გაუფორმოს უსტატუსო მასწავლებლის ხელშეკრულება, ხოლო მათემატიკის მასწავლებელს, მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, 9 საათამდე შეუმციოს საათები. 7 მასწავლებელს არ აქვს სტატუსი. ისინი ასწავლიან შემდეგ საგნებს: • ფიზიკა -24 საათი; • ბიოლოგია-7 სთ (უნდა ჰქონდეს მოწვეული მასწავლებლის სტატუსი); • გეოგრაფია - 20 სთ; • მუსიკა - 16 სთ; • სახვითი და გამოყენებით ხელოვნება -24 სთ; • დაწყებითი კლასის საგნები-19 სთ; • დაწყებითი კლასის საგნები -19 სთ. დირექციის განმარტებით, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები, მაგრამ ვერ შეირჩა შესაბამის საგნებში სტატუსის მქონე მასწავლებლები. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლამ განაახლა მასწავლებლების ვაკანსიები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების პირადი საქმეები; • eSchool ბაზა; • ხელშეკრულებები; • საკონკურსო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში გაწერილია (მუხლი 11) და ასევე ცალკე დოკუმენტად შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევისა და მიღების წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრძანებას. ვიზიტის დროს დირექციამ წარმოადგინა აღნიშნული წესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შინაგანაწესის მე-19 და მე-20 მუხლებით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, ასევე დისციპლინური გადაცდომების ფორმები და პასუხისმგებლობის სახეები. სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ჩანს, რომ სკოლის დირექცია იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომელთა შერჩევისა და მიღების წესი; • კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოცემული ბრძანებები და ოქმები; • სკოლის შინაგანაწესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. ასევე, თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განთავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში დასაქმებული თანამშრომელი შრომით ხელშეკრულებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ერთად ეცნობა სკოლის შინაგანაწესს და ადასტურებს ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომის ხელშეკრულებები; • შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში და პროექტებში, თანამშრომლობს ახალი სკოლის მოდელთან, უზრუნველყოფს სსიპ-მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსის/კურსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. 2022-2023 სასწავლო წლისათვის სკოლის ადმინისტრაციას დაგეგმილ აქვს: • კათედრის როლის გაძლიერება (არაფორმალური ურთიერთობები, კონსულტაციები, სადისკუსიო შეხვედრები, ურთიერთდასწრებები, ერთობლივი საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და სხვა); არაფორმალური ურთიერთობების განვითარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ტრენინგების ორგანიზება; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობა. სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად უზრუნველყოფის ხარისხის მართვის მენეჯერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები; 2. ადმიანურის რესურსების მართვის პოლიტიკა; 3. ინტერვიუ მასწავლებლებთან; 4. ინტერვიუ სკოლის დირექტორთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. შპს რუსთველის დირექცია ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში ეხმარებიან ახალ თანამშრომლებს, აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, მონაწილეობას იღებენ სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენაში, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაში. მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურადაა ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობელთა სათათბირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ჯვალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასკოლო ცხოვრების განვითარებაში. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

1. წერილი ქ. რუსთავის რესურსცენტრს;

ქ. თბილისი
(შევსების ადგილი) თარიღი 02/02/2023
გვერდების რაოდენობა 44 გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ფკალი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.